

საპროკლამაციო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 ივნისი, ოთხშაბათი, 1987 წ.

№ 117 (9528) • შპსი 3 კაბ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის

ჩვენი მონატი

ფეხბურთი

17-24

ივნისი

თბილისის

ლენინური

კომპარტიის

სახელობის

საფეხბურთო

კომპლექსი



პროკლამაციის ბიულეტენი

ყურადღება - მუშათა საკავშირო სპორტაკიდა

ეს იქნება ახალი მასობრივი ღონისძიება ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში. ამ სიახლის შესახებ ოფიციალური განცხადება გაკეთდა ურნალისტებთან სსრ კავშირის ნებაყოფლობით პროფკავშირული სპორტული საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და რუსეთის ფედერაციის ამავე ორგანიზაციის ხელმძღვანელების შეხვედრისას.

სპორტაკიდას პირველი ეტაპის ჩატარება ნავარაუდებია გაისაღ. ამ ეტაპზე სტარტზე გამოვლენ ფაბრიკებისა და ქარხნების, აგრომრეწვის და სამშენებლო ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეები. შეჯიბრებაში ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობა. პროგრამაში შევა სპორტის სხვადასხვა სახეობა, კონკურსები მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, საკავშირო ეტაფეტები, თამაშები, შეჯიბრებები სპორტის ერთეულ სახეობებში... პირველი ეტაპის ღონისძიებები ჩატარდება ფიზკულტურულ კოლექტივებში; შემდეგ დაიწყება რაიონული, საქალაქო და საოლქო შეჯიბრებები. რჩეული ნაკრები გუნდები (მათში შევლენ სპორტსმენები, რომლებიც თავს განსაკუთრებით გამოიჩინენ პირველ ეტაპზე) მონაწილეობას მიიღებენ მეორე ეტაპის შეჯიბრებებში.



პალატაში ვეფხვი რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი „სინათლის“ და უნივერსიტეტის კოლექტივების შეხვედრა იყო, გუნდებისა, რომლებიც გამარჯვების მთავარ ფაქტორებად ითვლებიან. ბრძოლა მართლაც დაძაბული გამოდგა, მაგრამ მხოლოდ ბოლო წუთებში.

ფეხბურთი ბრძოლას ანახლებენ

ოტომანაშვიანი შესვენების შემდეგ, დღეს განახლებდა ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. ქართველი ღონისძიებები მეორე წრის მეოთხე ტურში თბილისის ლენინური კომპლექსის სახელობის საფეხბურთო კომპლექსში ეთამაშებოდა სევესტოპოლის შავი ლევის წითელდროშოვანი ფლოტის, სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის, ხარკოვის „ლოკომოტივის“, ლენინგრადის „ბალტიკისა“ და მოსკოვის „უნივერსიტეტის“ გუნდებს.



კითხვები მაინც დარჩენილია თბილისის ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნორჩი ფეხბურთელები. მაინც დარჩენილია იმედი, რომ სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშების დაწყებამდე თითქმის ერთი თვეა დარჩენილი. ხვალ კი შეჯიბრებას პირველი ფეხბურთელები იწყებენ (ჭარა გუნდები ჩაბარებულ ნორმატივებს ფიზიკურ მომზადებაში). ორგანიზატორებისა და მასპინძლებისთვის ეს ასპარეზობა თავისებური „სასიხარო ქება“ ხშირად გაივლინებით, ფეხბურთელთა ასპარეზობა ექსპერიმენტს მოგვაგონებს: მოსწავლე სპორტსმენთა დიდი ფორუმის წინა. სპორტული ბაზა — თბილისის განათლების სამმართველოს საცურაო აუზი (საირმის ქუჩაზე), სადაც შეჯიბრება ჩატარდება, ყოველმხრივ მომზადებული შევსებული სტუმრებს. ფეხბურთელებმა აქ უკვე ჩაატარეს პირველი საკავშირო ვარჯიშები და კმაყოფილი არიან. მუშაობისთვის საუკეთესო პირობები ექნებათ მსაჯთა კოლეგიას და ურნალისტებს. საქართველოს ნაკრები საუკეთესო ადგილისთვის საბრძოლველად არის განწყობილი. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა გუშინ საქართველოს სსრ ვანათლების სამინისტროში ნაკრებ გუნდთან შეხვედრისას. ნაკრების წევრებს ესაუბრა და წარმატებები უსურვა ვანათლების მინისტრმა ნათელა ვასაძემ.

რეგულ სატურნირო მდგომარეობას გაიუმჯობესებენ და ლიდერთა შორის დაიმკვიდრებენ ადგილს. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი ფეხბურთელები ამ ტურისთვის გულმოდგინედ ემზადებოდნენ. ამასი მათ ხელი შეუწყო თბილისის საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც საქართველოს ურნალისტთა კავშირის პრინციპით ჩატარდა, აგრეთვე ფეხბურთელთა საკავშირო თასისთვის მებრძოლთა ვილინუსში გამართულმა წინასწარმა შეხვედრებმა, სადაც ჩვენი ღონისძიებმა კარგად ითამაშეს.

დღეს მასპინძლები სევესტოპოლურ ფეხბურთელებს შეხვედრიან. დღესვე გაიმართება სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბისა და „ბალტიკის“, „ლოკომოტივისა“ და „უნივერსიტეტის“ გუნდების შეხვედრები. თამაშები 18 საათზე დაიწყება. შეგახსენებთ გუნდების სატურნირო მდგომარეობას:

Table with columns: Team Name, Points, Goals, etc. for various football teams.

საპროკლამაციო მუშათა ჩემპიონატი ზადრაკში

უყაირო ტური

კიდევ ერთი, ზედოხედ მეხუთე გამარჯვება იხილა საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ სტურუამ საქართველოს მოკავშირე ვაჟთა 47-ე ჩემპიონატზე. VIII ტურში მან ცხაყაილი ოსტატობის კანდიდატი გონა ტყეშუა დაამარცხა; თითქმის თანაბარ პოზიციებში სტურუამ ლაზიერი დათო ორ ეტლში. ტყეშუაზე ზუსტად თამაშობდა და კარგი პოზიციაც მიიღო, მაგრამ მალე ციტირტი „წამოეწია“ და მიძიე შეეცდომა დაუშვა — ლაზიერი დაკარგა და დამარცხდა.

თუ წინა ტურში თერთებს „შავი ლე“ დაადგათ — გახსოვთ, ალბათ, სამი პარტია შავების გამარჯვებით დამთავრდა — ამჯერად თერთებმა მოიგეს 5 პარტია. ზედოხედ მეხუთე გამარჯვება მიხეილ კრასნეცოვმა, VIII ტურში მან დამიტირტი გედევანიშვილს სძლია. იგორ ეფიმოვისა და პაატა გაფრინდუვილის შეხვედრაში ეფიმოვმა პაიკი მოიგო, თუმცა ტაქტიკური კომბინაცია გამორჩა და ორ სელაში მოსალოდნელი შამათის გამო, თავი დამარცხებულად სცნო. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: გიორგიძე-ბალათური — 1:0, ჯანჭღაე-მანაგაძე — 1:0, ზეურთიანი-ჩაჩიბაია — 1:0. შალამბერიძის პარტია ტაბატაძესთან გადარტანილია. გადადებულ პარტიაში პაატა გაფრინდუვილი დაამარცხა გია გიორგიძე (V ტური). იგორ ეფიმოვისა და კახა შალამბერიძის VII ტურის გამოტოვებული პარტია ეფიმოვმა მოიგო.

8 ტურის შემდეგ ლიდრობენ: ზურაბ სტურუა, ლამა ჯანჭღაე (ორივე — თბილისი) — 6-6 ქულა, მიხეილ კრასნეცოვი (ბათუმი) — 5,5, გია გიორგიძე (თბილისი) — 5, ბესიკ ზეურთიანი (ქუთაისი) — 4,5.

ლიდერობა დაიბრუნა

ბმა, როგორც ჩანს, არასწორად შეაფასეს და შესამჩნევად შეასუსტეს ყურადღება. მეგრე ლა მერე მდგომარეობა გაართულდა, ბრძოლა გამწვავდა და ერთხელ მოგებული თამაშის ხელახლა მოგება გახდა საჭირო. შეხვედრის მიწურულს „სინათლე“ დაწინაურდა კიდევ და კაცმა არ იცის როგორ დამთავრდებოდა ეს ღრამატული მატჩი, ძიძავას (უნივერსიტეტი) რომ ყველაზე საჭირო მომენტში ზუსტი სამქულიანი ტყორცნა არ განხორციელებოდა, უნივერსიტეტმა გამარჯვა — 98:94 და ლიდერობა დაიბრუნა.

ნიკური ინსტიტუტის ვუნდთან შეხვედრაში. „მარტვიმ“ თავის სასარგებლოდ დაამთავრა პირველი ტაიმი (60:54), მეორეში კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა და საბოლოო ჯამში გამარჯვა — 118:102. ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებმა სოხუმის გუნდი შედარებით ადვილად დაამარცხეს 111:98 (56:44).

Table with columns: Team Name, Points, Goals, etc. for basketball teams.

„ალიდასის“ ფორმა ყოველწლიურად საუკეთესო მოჭიდვის გეგმას ასახელებენ. შარშან ეს პრიზი თავისუფალი სტილის ათლეტს, ტამენტელ არსენ ფაძაევს (68 კგ) მიეკუთვნა.

წლეულს მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდვედ (ოქტომბერ 1986 წლის შედეგების მიხედვით) მოსკოველი მიხეილ მამიაშვილი (კლასიკური ჰილითა) აღიარეს. შარშანდელი ლაურეატი ა. ფაძაევი მეორე ადგილზე გავიდა.

პალატაში ვეფხვი რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი „სინათლის“ და უნივერსიტეტის კოლექტივების შეხვედრა იყო, გუნდებისა, რომლებიც გამარჯვების მთავარ ფაქტორებად ითვლებიან. ბრძოლა მართლაც დაძაბული გამოდგა, მაგრამ მხოლოდ ბოლო წუთებში.

ფარილვაბი რედაქციას

მხარს ვუჭერთ

„ლელოს“ ა. წ. 7 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „იყო ასეთი დაფიქრება“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გამოჩენილ სპორტსმენთა ხსოვნას გაფრთხილება სჭირდება. დიას, არ უნდა დავივიწყოთ იმ ადამიანთა სახელები, ვისი ცხოვრება მისაბადი იყო ყველასთვის, ვისი სახელი ლეგენდად შემორჩა ქართული სპორტის ისტორიას.

40-50-იანი წლების თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ვისაც ახსოვს და მის მჩქეფარე ცხოვრებასთან რაიმე ურთიერთობა ჰქონია, ისიც ემახსოვრება, როგორი პაპულარობით სარგებლობდა ტურისტის, ალბინიშის და ჰადრაკის კაბინეტები. რატომ? ეს ყველაზე კარგად იცის. ამ კაბინეტებს ხელმძღვანელობდნენ შიკა ერისთავი, ალექსანდრა ჯაფარიძე და ვახტანგ ქარსელაძე, ადამიანები, რომლებმაც ცხოვრება და მოღვაწეობა მართლაც რომ სამაგალითო იყო. ისინი, კრისტალოვი პატრონების, უფაქიზის ადამიანური თვისებების მქონენი, ახალგაზრდებს არა მარტო სპორტსმენ-

ბად ზრდიდნენ, არამედ მოქალაქეებად, მოღვაწეებად, ერისკაცებად.

მართალია, მათ მოწაფეთაგან ყველა ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას, თეიმურაზ კუხიანიძის და გურამ თიკანაძის მსგავსად, დიდი სიმაღლის მწვერვლები ვერ დაიპყრო, ყველა ვერ გახდა დიდი სპორტსმენი და რეკორდსმენი, მაგრამ ფიზიკური და გონებრივი წრთობის შესანიშნავი სკოლა ყველამ გაიარა და ყველა მაღალი ზნეობის მქონე ადამიანად ჩამოყალიბდა.

დღეს, როდესაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პირადი მავალითის ძალას, ეს შესანიშნავი ადამიანები პატიოსნების, მამულიშვილობის, ქვეყნის უანგარო მსახურთა ქემშარიტ ეტალონებად ითვლებიან. მათი ცხოვრების წესი დღესაც სამაგალითოა ახალგაზრდებისთვის, ამიტომაც არის, რომ მათ საფლავებთან მდებარე ხრიან თავს მათი ნამოწაფარნი, რომელთა უმრავლესობა თვითონა პედაგოგი. ისინი საქართველოს მომავალს ზრდიან, ისე, როგორც თავის დროზე, მათი მასწავლებლები.

შიკა ერისთავის, ალექსანდრა ჯაფარიძის და ვახტანგ ქარსელაძის ღვაწლი, მართალია, დაფასებული იყო, მათ მინიჭებული ჰქონდათ

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის, სპორტის დამსახურებული ოსტატისა თუ სსრკ დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდებები, მაგრამ კარგი იქნება თუ მათ სახელებს მემორიალური დაფებით უკვდავყოფთ, რათა ჩვენმა შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა სწორად შეავლონ მათ თვალს და კარგად დაამახსოვრდეთ ამ ადამიანთა სახელები. მხარს ვუჭერთ რა „ლელოს“ ფურცლებზე წამოჭრილ მაღალმოქალაქეობრივ, პატრიოტულ წინადადებას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მემორიალური დაფები სპორტსმენთა და სპორტის სახელმწიფო მოღვაწეთა სახელებზეც გაკეთდეს. კარგი იქნება, თუ სათანადო ორგანიზაციები, კერძოდ, საქალაქო საბჭო იზრუნებს ამ საშვილიშვილო საქმეზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლები, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები ელენო კობახიძე, მანანა ლორთქიფანიძე, მეცნიერებათა კანდიდატები რეზა მასაშვილი, მანანა ტოგონიძე, ნოდარ ტყეშელაშვილი.

რა აწუხავს

მკითხველს?

გამოწერილი მაქვს თქვენი გაზეთი. ერთ დღეს ერთბაშად მომივიდა „ლელოს“ რამდენიმე ნომერი №№ 78, 75, 76, 77 და 80. № 78-ში ცალი იყო 78-ე და 79-ე ნომრები, როგორც ხედავთ, საერთოდ არ მიმიღია. არადა, „ლელოს“ მკითხველი ვარ 1958 წლიდან. იმედია, ჩემი თხოვნა უყურადღებოდ არ დარჩება.

შ. შარტავანიძე.

ნოვოჩერკასკი.

რამდენიმე საბავსო: სამწუხაროა, რომ მკითხველს გაზეთის რამდენიმე ნომერი ერთბაშად გაუგზავნეს, თანაც დააკლეს კიდეც და ამით გული ატკინეს. რედაქცია, როგორც ცნობილია, ადრესატამდე გაზეთის მიტანაზე პასუხს არ აგებს. ეს „სოიუზპრესის“ შესაბამისი სამსახურის საქმეა. ვფიქრობთ, ისინი მომავალში მაინც გაითვალისწინებენ მკითხველის შენიშვნას. ჩვენ კი დავლოდებთ პასუხს, რათა გავიგოთ, კონკრეტულად როგორ და ვისი მიზეზით მოხდა ასეთი დარღვევა.

გაბივიწყოლო რედაქციას

ჩვენი მძლეოსანი ზურაბ მემარნიშვილი ჯერ კიდევ სულ პატარა (მაშინ მე-5 კლასში იყო), როგორც კარგი მოსაწყემების მქონე სპორტსმენი, მე აღმოვაჩინე, ვაგარჯიშე და, საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, საქართველოს ჩემპიონი გახდა. იმ დროიდან ზურაბი თბილისშია. რატომღაც პირველ მწვრთნელს აღარავინ ახსენებდა. ეს გამოწვევის არ არის, თითქმის ყველა სახეობაში ასეა. თუ გვიხდა სპორტი წინ წავიდეს და მწვრთნელებს სტიმული მიეცეს, არც პირველ-აღმომჩენი სპეციალისტები უნდა დავვიწყოთ.

ბ. ვარკაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

რატომ რჩება სურვილი სურვილად?

ადრე „ლელოს“ უკვე დაიბეჭდა კოლექტიური წერილი მუხიანის დასახლების სტადიონის შესახებ. სტადიონის ირგვლივ საცხოვრებელი კორპუსები და სატელეფონო კვანძი დადგეს. სპორტული ბაზის კეთილმოწყობაზე, აქ არსებული დიდი შესაძლებლობების გამოყენებაზე, ეტყობა, არავინ ფი-

ქრობს. ძალიან გვტკივა გული.

გული გვტკივა იმის გამოც, რომ ჩვენში ყოველად გაუმართლებელ ინერტულობას იჩენენ მარტივი სპორტული ბაზების აშენების, მათი კეთილმოწყობისა და გამოყენების საქმეში. ვიღრე სიტყვას და სურვილებს რეალობად არ ვაქცევთ, კონკრეტულად არ გარდაჭმნით ჩვენს დამოკიდებულებას საერთო ინტერესებისადმი, მასობრიობაში. სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ.

ბ. სოსელია, მშენებელი.

გაუხვავს თავაზიანად მოუხვედით

გულშემატკივრობას მოზარდი პატარაობიდანვე ეჩვევა. რა დასამალოა, ბავშვების უმრავლესობაში გულშემატკივრის გრძობის გავლენაზე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდთან არის დიაგნოზირებული. სტადიონზე ბევრი ბავშვი დადის, მაგრამ უფროსები მათ სწორად უდიერად, უტაქტოდ ექცევიან, ზოგჯერ აბუხადაც იგდება. ეს თავდაც მინახავს და უსიამოვნო დიალოგი მომისმენია. მოზარდებთან ურთიერთობაში მეტი გონიერება გვმართებს.

ბ. ვარკაიშვილი.

ბასაქვეყნის უფრო მეტია

სპორტული ნაგებობებისა და მარტივი სპორტული მოედნების კეთილმოწყობა-დათვალიერების ორთვეურმა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდა, ბევრი სარგებლობა მოუტანა რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრიობას. ამ ორი თვის განმავლობაში ბევრი სიკეთის გაკეთება შეძლებოდა სამხრეთ ოსეთშიც, მაგრამ ორთვეური მოთავედა, მოსაწესრიგებელი და გასაქეთებელი კი აქ ჯერ კიდევ ბევრია.

მაგალითად, ცხინვალის მთავარი სტადიონი (ყოფილი დირექტორი ი. მარღვი) სრულიად მოუშაღებელი შენგდა წლევეანდელ საფეხბურთო სეზონს. უკიდურესად სავალალო მდგომარეობაშია სათამაშო მიწის მწვენი საფარი, ბალახი მხოლოდ აქ-იქ ჩანს, სარეველა მცენარეები ისეა დაბუჩქებული, რომ ფეხბურთელებს თამაში უჭირთ. ჩიღმავებულ ადგილებში წყალი გულდება, ერთიანად გადათხრილია მეკარება სათამაშო ასპარეზიც. მიწის ქრთვით ხრილი კუთხე სარბენ ბილიკზე გადადის, სადაც ბეტონის ბორღიურია ამოშვებული ორი მეტრის სიგრძეზე, ეს კი ტრავმების საშიშროებას უქმნის ფეხბურთელებს. და, აი, აქ ასეთ პირობებში ვარჯიშობენ ფეხბურთელები, ოციწი ალური მატჩები იმართება.

როგორც იქნა, გადაწყდა სტადიონის რეკონსტრუქციის საკით-

ხი, რისთვისაც საკმაო თანხა გამოყოფილი.

რეკონსტრუქცია ხდება, აგრეთვე, დაბა ჯავის სტადიონზე, აქ იმთავითვე არასტანდარტული საფეხბურთო მიწის ორი იყო, გარდა ამისა, სტადიონზე წყალსადენის ცენტრალური მაგისტრალი გადის, რის გამოც ფერხდება შეჯიბრებათა ჩატარება.

გაუმართლებლად გაჭიანურდა ცხინვალში ყამბრეთა ქუჩაზე მდებარე კომპლექსური სპორტული მოედნის მშენებლობა, საშეგული არ დაადგა ტრიბუნის ფაბრიკის სპორტმოედნის კეთილმოწყობას, ცხინვალის ბავშვთა მოზარდთა სპორტსკოლისა და საცურაო აუზის მშენებლობას.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ საგანგებოდ განიხილა საკითხი „სამხრეთ ოსეთში ფეხბურთის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“, დაისახა სათანადო ღონისძიებანი ოლქში სპორტულ ნაგებობათა კეთილმოწყობად და მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაჯანსაღებლად. ცხინვალის ახალ მშენებარე მიკრორაიონში აიგება სპორტული კომპლექსი, მოეწყობა მარტივი ტიპის მოედნები.

ლევია სუხალიანი,
„ლელოს“ საქ. კორ.

იუხილას მიუქლვენს

რუსთაველი, სპორტკლუბ „ფოლადის“ დარბაზში ჩატარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საქალაქთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ დნეპროპეტროვსკის, დნეპროპეტროვსკის, კრასნოდარის, პეტროზავოდსკის, თბილისის, რუსთაველისა და სპორტკლუბ „ფოლადის“ ნორჩი სპორტსმენები.

1972-1973 წლებში დაბადებულთა შეჯიბრებაში ყველაზე კარგი შედეგი მრავალჭიფში რუსთაველს მე-17 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე ნანა ოსიანიძემა აქვანა. მეორე ადგილზე გავიდა ლე-

ნა ვოიცოვიჩი, მესამეზე — იულია პანასიუკი (ორივე — დნეპროპეტროვსკი).

1974-1976 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შეჯიბრებაშიც რუსთაველმა მოსწავლემ გამოიჩინა თავი — მე-8 საშუალო სკოლის მეექვსეკლასიელმა ელდა კოზმოვამ პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილი მის თანაგუნდელ ოქსანა როდიონოვას ხვდა წილად. დნეპროპეტროვსკელი იულია ლევიკოვსკაია მესამე ადგილზე გავიდა. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: პეტროზავოდსკი, დნეპროპეტროვსკი, სპორტკლუბი „ფოლადი“.

რამდენ ვაბარბიძე,
„ლელოს“ კორ.

მოკლედ


პანის რაიონში სპორტული ბაზების მშენებლობას და არსებულის კეთილმოწყობას სათანადო ყურადღება ეთმობა. ამ დღეებში ვანის ბავშვთა სპორტული სკოლა ახალმოსახლეობას იზიიმებს. რემონტის შემდეგ ვანში მწყობრში ჩაიღმა 25-მეტრიანი ღია საცურაო აუზი.

ღია კომპლექსური მოედნები მოეწყობა ვანის საკონსერვო ქარხნისა და ცეკავშირის საწარმოო კომბინატის ტერიტორიებზე. განზრახულია ცენტრალური სტადიონის ირგვლივ ველოტრეკი გაკეთდეს და იქვე ჩოგბურთის კორტები მოეწყოს.

იორაზ ნიაოლიაშვილი,
„ლელოს“ კორ.

თიანეთში თითქმის ხუთ თვეს მიმდინარეობდა სარაიონო სპორტაკიადა. პროგრამაში იყო შეჯიბრებები კალათბურთში, მავლის ჩოგბურთში, ტყვიის სროლაში, მძლეოსნობაში, მშდ კომპლექსის მრავალჭიფში და „იმედის სტარტებში“. სარბილზე გამოვიდნენ რაიონის 28 საშუალო და რვაწლიანი სკოლის გუნდები. გუნდური ადგილი დაიკავა თეოქოლის პირველი საშუალო სკოლის კოლექტივმა, მეორე — ჩხარის საშუალო სკოლის გუნდმა. მესამე ადგილზე თეოქოლის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეები გავიდნენ.

ვანო კახალაძე,
„ლელოს“ კორ.



პრადამაყოფილებელი ურიაღის წინააღმდეგ

„ზრობითი ჩაზარავის“ სპორტის სასახლემ კიდევ ერთ სახელმწიფო მიღებას უმასპინძლა. ამჯერად კომისიის წინაშე ამავე საზოგადოების ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რუზერვის კიბაობის კლასიკური სახეობების სპეციალიზებული სკოლის აღსაზ-

რდებები, კერძოდ, კლასიკური სტილის მოჭიდავეები წარსდგნენ. სპორტსმენები ნორმატივებს აბარებდნენ ხილურზე შემორბენში და გადასვლებში, ღერძზე მიზიდვაში, ხელებზე აწევვაში, ფიტულების გდებაში, პარტნიორით ჩაჭლომბში, დგომში და ჩოქჩენში შეკი-

დში და სირბილში. 52 გამოსაცდელიდან 15-მა ფრიადი მიიღო, ამდენივემ არადაამკაყოფილებელი; 9 კარგი და 13 დამაკმაყოფილებელი ნიშანი დაიწერა. სახელმწიფო მიღებამ იმაში დავარწმუნა, რომ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მწვრთნელები


ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ფიზიკურ მომზადებას. ამაზე მეტყველებს ის, რომ გამოსაცდელთა დაახლოებით 30-მა პროცენტმა არადაამკაყოფილებელი ნიშანი მიიღო.

ჯემალ კასრაძის
ტექსტი და ფოტო.

ბეისბოლი ჩვენს ქვეყანაში პირველ, გაუბედავ ნაბიჯებს დგამს. ამიტომ ყოველი შეხვედრა, გუნდავით ოფიციალური, გუნდავით — საჩვენებელი მაყურებლების ცხოველ ინტერესს იწვევს. ეს არც არის გასაკვირი. სპორტისმოყვარულთა კანონიერი სურვილი აქვთ უფრო ღრმად და საფუძვლიანად გაიცნონ თამაში, რომელიც დასავლეთში კარგა ხანია პოპულარობით სარგებლობს.


ეს მატჩი ამას წინათ მოსკოვში გაიმართა. ერთმანეთს შეხვდნენ პატრიის ლუმპუმას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტისა და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სპორტსმენები. გამარჯვება უნივერსიტეტის სტუდენტთა უფრო გამოცდილმა კოლექტივმა მოიპოვა, რომელიც ნიკარაგუას, კუბისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების ასაკგაზრდებით იყო დაკომპლექტებული.

სურათზე: შეხვედრის არბიტრი გულმოდგინედ ადევნებს თვალს საავიაციო ინსტიტუტის ბეისბოლისტთა მოქმედებას.



საკდესის ფოტოქრონიკა.

კალენდოსკოპი



ფენიქსში (აშშ) 30 წლის იამაკელმა მიკი მაკ კალუმში (ქვესაშუალო წონა) მეხუთედ დაიკვა მსოფლიო ჩემპიონის (გზა) ტიტული. შეხვედრის რეფერიმ მე-10 რაუნდში შეწყვიტა მისი ორთაბრძოლა ამერიკელ მილტონ მაკ კროსისთან სხვათა შორის, იამაკელმა მოკლევადიანი პროფესიული რინგზე ჩატარებული 31 შეხვედრიდან 28 ვადა აღრე დაამთავრა.

ატლანტაში მსოფლიო ჩემპიონობა (იბტ) შეინარჩუნა ამერიკელმა ქვემძიმეწონის ბოიბი სიბრომელმა ციანამემა მულე ჯიმი კლონალი დაამარცხა.

ნიშში (საფრანგეთი) გამომართიანი უნივერსიტეტის მატჩი დასაშუალო წონით კატეგორიებში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა მექსიკელმა ხულიო სხარ ჩავესმა, რომელმაც დაამარცხა ბრაზილიელი თომას და კრუზი. სიდნეი და როვერიმ (ბრაზილია) მოუგო ბრუნო ჟაკობს (საფრანგეთი), ტიერი ჟაკობმა (საფრანგეთი) — ხუან პოლოს (კოლუმბია), პიერ ფრანკ ვინტერსტაინმა (საფრანგეთი) — ტონი ბურკს (იტალია).

კალათბურთი და...

ნაკრებიები

ნიუ-იორკის სასამართლომ ნაკრებიებით ვაჭრობისთვის დაწესებული პატიმრობა მიუსაჯა ტელავიის მკაბის ამერიკელ ჟურნალისტს ვილსონს. ოსი პერის ამ კალათბურთელის სახელთანა დაკავშირებული ბოლო წლებში ევროპულ საკალათბურთო ტურნირებზე, მკაბის მიერ მოპოვებული საკმაოდ მაღალი შედეგები.

სასანეთის „დიდ პრიზი“

ესანეთში ჩატარდა პროფესიონალი მოტობრძოლეთა მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი „დიდი პრიზი“ მიიღეს: 80 კუბ/სმ მოტოციკლებზე — მასპინძელი ბორბე მარტინესმა (საშუალო სიჩქარე 122,219 კმ/სთ); 125 კუბ/სმ — იტალიელმა ფაუსტო გარზინიმ (128,192 კმ/სთ); 250 კუბ/სმ — დასავლეთგერმანელმა მარტინ ვუმერმა (132,770 კმ/სთ); 500 კუბ/სმ — ავსტრიელმა უიგენ გარტლერმა. ამ ეტაპზე თავიანთ კლასში გამარჯვებულები საერთო ჩავესშიც ლიდერობენ.

70 წლის რასისტი

„შავკანიანებს არც მწვრთნლობა შეუძლიათ და არც მენეჯერობა. უკეთეს შემთხვევაში ისინი მოთამაშეები შეიძლება იქნენ“. ეს რასისტული გამოთქმა გაკეთების ბეისბოლისტთა კლუბის „ლოს-ანჯელეს დოდჯერსის“ მენეჯერმა, 70 წლის ელ კამპანისმა ახლანახან წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა შეერთებულ შტატებსა და მთელს ლათინურ ამერიკაში დადებითმა მოთქმა გამოიწვია. მაგრამ მოთავაირის არის, რომ 40 წლის წინ სწორედ კამპანისმა ბეისბოლის ისტორიაში პირველად შეყვანა გუნდის ძირითად შემადგენლობაში შავი მითამაშე. მან მას, როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა — კარგი მოთამაშე სჭირდებოდა.

კარანა...

ცენტრალური ტელევიზია 17 ივნისი. დილის დაჭერვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); ხელბურთულთა საკავშირო ჩემპიონატი: ესკა — ასე (მინსკი) — 21.15 (2).

საპარტიზო ტელევიზია 17 ივნისი. საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში — 23.20.

რედაქტორი **თ. ბაჩინილაძე**

ბარიერი გადასულია

მეხიკოს ოლიმპიადზე, 1968 წელს, მძლეონებმა ბევრი რეკორდი დაამყარეს, მაგრამ სპეციალისტებმა მათგან 5 მიიჩნიეს ფინტასტიკურ მიღწევად, კერძოდ: ამერიკელი ბობი ბიშონის მართლაც ფინტასტიკური ნახტომი 8,90 მეტრზე; მისი თანაგუნდელის, „სპარტის მეფე“ წოდებული ჯიმი ჰაინისის შედეგი 100-მეტრიან დისტანციაზე — 9,95; 400 მეტრზე რბენაში გამარჯვებულის ლი ევანსის მიერ ფინტაში ნახევრებით — 43,86; ამერიკის შეერთებული შტატების ვაჟთა ოთხეულის მიღწევა 4X400 მ ანაბორბენში, რომლის ბოლო ეტაპზე იგივე ლი ევანსი გამოდიოდა — 2,56,1 და ბოლოს, ვიქტორ სანევისის გამოსვლა სამხტომში — 17,39 მ.

ამ რეკორდებიდან ყველაზე ადრე სანევისის მიღწევა დაემხო. 1971 წელს მას ერთი სანტიმეტრი წუთმეტა კუბელმა პედრო პერეს ლუენასმა (თუმცა ჩვენმა მძლეოსანმა მაღალ აილო რეკენში და სოხუმში 17,44 აჩვენა).

15 წელიწადს გაძლო ჯიმი ჰაინის რეკორდი. იგი 1983 წელს გააუმჯობესა ამერიკელმა სპარტებმა კელვინ სმიტმა, რომელმაც 100 მეტრი 9,83 გაიზარდა. დანარჩენი სამი მიღწევა კი 19 წელიწადს „წარმეუბრედი იტა“ 19 წელიწადით ეპოქა სპარტში. ამ ხნის განმავლობაში მძლეოსნობის სხვა სახეობებში რეკორდების ფიგურირეკი ვიხილეთ, ის სამი მწვერვალში კი ვერაფერ აიღო.

და აი, ერთი ბარიერი გადაილახა. ამერიკელმა სპარტებმა პარი რენიოსლდმა წამის შედეგით გააუმჯობესა ლი ევანსის რეკორდი — 43,85 აჩვენა. ამ ფაქტისთვის კომენტარის გაცემაზე გარკვეული მონაცემების გარეშე იოლი არ არის, მაგრამ ერთი რამ უდავოა: 22 წლის რენიოსლდის მართლაც იშვიათი ნიჭის მქონე სპარტერი ჩანს. შარშან მისი შედეგი საერთაშორისო სახომით საკმაოდ დაბალი იყო, სულ 45,35 წამი. ამას წინათ მან სტადიონის ერთი წრე 44,09-ში გაიზარდა, ახლა კი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. რენიოსლდის ნიჭიერებას განსაკუთრებით იმით გამოეხატა, რომ ლი ევანსის შედეგს, 19 წლის განმავლობაში, გაუმჯობესებას ვინ ჩივის, მორბენლები სიახლოვეს ვერ გაეკარნენ. მათ შორის უძლიერესის, ფინომენალური ალბერტო ხუანტორენას (კუბა) საუკეთესო მიღწევა მხოლოდ 44,26 უღრიდა.

აღსანიშნავია, რომ მძლეოსნობის ისტორიაში სულ სამმა მორბენალმა შეძლო 400 მეტრის 44 წამზე ნაკლებ დროში გაჩვენა. ეს გააკეთა, როგორც ვთქვით, ევანსმა, რენიოსლდმა და ლარი ჯიმიმ, რომელმაც მეხიკოს ოლიმპიადებზე ლი ევანსის შემდეგ II ადგილი დაიკავა — 44,97.

შინ შესვლის აპელანუს?

ფინანსური საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი ახლა მომავალში აპირებს პოსტის დატოვებას. საერთაშორისო ფიფის მფლობელი, ბრაზილიელი მილონიერი, სამოცდაათ წელს მიღწეული აველანჟი მისი ასაკისათვის უჩვეულოდ ენერგიულია. ფიფას პრეზიდენტი მთელს მსოფლიოში მოგზაურობს — ეწვია ფიფას წევრ 158 ქვეყანას. მაგრამ, ცხადია, იგი პრეზიდენტის პოსტზე სამუდამოდ ვერ დარჩება. გავრცელდა ხმები, რომ ფიფას კონგრესზე, რომელიც იტალიაში 1990 წელს გაიმართება, აველანჟი უარს იტყვის თანამდებობაზე.

ვინ აცხადებს პრეტენზიას ფიფას პრეზიდენტის მომავალ ვაკანტურ ადგილზე? არის კი ვინმე ისეთი გამოკვეთილი ფიგურა, როგორც თავის დროზე თვით აველანჟი იყო, როცა მან 1974 წელს ინგლისელი სტენლი როუზი შეცვალა? ამ კითხვებზე კატეგორიული პასუხის გაცემა შეიძლება — ასეთი კანდიდატი არ მოიძებნება. პრეტენდენტებად ბევრს ასახელებენ, მაგრამ მათგან ძალიან კონტის შეუძლია ფიფას პრეზიდენტის პოსტის დაკავება.

კანდიდატების დასახელება სჯობს ევროპის წარმომადგენლებით დავიწყეთ.

ევროპის ფეხბურთის ფედერაციის (უეფა) პრეზიდენტი, ფრანგი ჟაკ ჟორჟი, რომელიც ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და პერსპექტიული ფიგურა იქნება ფიფას მომავალ არჩევნებზე. სხვას ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, მსოფლიოს ფეხბურთის ფედერაციებს შორის უეფა უმდიდრესია და მხარდამჭერიც ბევრი ჰყავს. ექვს არ იწვევს ის, რომ მომავალ არჩევნებზე ევროპა შეეცლება და იბრუნოს მმართველობის სიდავეები, რომლებიც 16 წლის განმავლობაში სამხრეთამერიკელ აველანჟს ეპყრა.

ჟაკ ჟორჟი ევროპის საფეხბურთო წრეებში პატივისცემით სარგებლობს. იგი დაიბადა 1916 წლის 30 მაისს სენ-მორის სიურ გოზელში, ლორენის დეპარტამენტში. ომამდე სწავლობდა საოქროციო საქმეს, ომის შემდეგ ბიზნესში დიდ წარმატებებს მიაღწია.

(მისი ოჯახი ფლობდა საფეიქრო ფაბრიკებს) და მშობლიური ქალაქის მერადაც კი აირჩიეს. ახალგაზრდობაში ჟაკ ჟორჟი თამაშობდა პარიზის „რასინგ კლუბში“ და „ტილოტში“, გამოდიოდა საფრანგეთის უნივერსიტეტების ნაკრებში. რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტობა მისთვის მხოლოდ ნაბიჯი იყო საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციისკენ. 1968 წელს იგი უყოყმანოდ აირჩიეს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად.

თბილი წლის შემდეგ ჟაკ ჟორჟი უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გახდა. 1983 წელს კი, როცა უეფას იმდროინდელი ხელმძღვანელი, იტალიელი არტემიო ფრანკი საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა, ჟაკ ჟორჟი უეფას პრეზიდენტი გახდა.

ამ პოსტზე იგი უეფას 1984 წლის პარიზის კონგრესზე დაამტკიცეს. უეფას პრეზიდენტობამ ჟაკ ჟორჟს ფიფას ვიცე-პრეზიდენტის სახელი მოუტანა. შეიძლება სწორედ იგი ვიხილოთ ფიფას სათავეში, მაგრამ თუ ასე მოხდა, იგი დიდხანს მინიმ არ დარჩება პრეზიდენტის პოსტზე, რადგან აველანჟის მსგავსად, ისიც ასაკოვანია — კარგა ხანია სამოცდაათი შესრულდა.

ჟაკ ჟორჟზე ზუთი წლით უმცროსია აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ეთიოპელი იბნეკაჩე ტესემე. თავის დროზე აველანჟმა განვითარებადი ქვეყნების ფედერაციები მტკიცე საარჩევნო ბლოკად შეკრა, ასე რომ, ტესემეს უფრო ბევრი დაუპერს მხარს. ახალგაზრდობაში იგი იყო ქვეყნის ჩემპიონი 100 მეტრის რბენაში. სიმალეზე და სიგრძეზე ხტობაში; 15-ჯერ გამოვიდა ეთიოპიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

ასეთივე პოლიტიკური და სპორტული კარიერა აქვს აზიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, 62 წლის მალაიზიელ იურისტს ჰამზა ჰაჯი აბუ სამახს. მაგრამ ფიქრობენ, რომ არჩევნებზე მას, აზიის ფეხბურთში მომხდარი სერიოზული რეგიონალური განხეთქილების გამო, ბევრი არ დაუპერს მხარს.

მასზე ნაკლებად პერსპექტიული კანდიდატია ოკეანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, წარმო-

შობით შოტლანდიელი ჩარლზ დემპსი, რომელიც ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრიც კი არ არის.

დავუბრუნდეთ ისევ ევროპას. ფიფას ვიცე-პრეზიდენტი, დასავლეთ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი ჰერმან ნოიბერგერი საჭერ იყო მსოფლიო ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი. 1978 წელს არგენტინაში, 1982 — ესპანეთში და 1986 — მექსიკაში. იმავე ფუნქციას შესრულებს ნოიბერგერი იტალიაში 1990 წელს. თუმცა ამბობენ, რომ მას სხვა ფედერაციები მხარს მაინცდამაინც არ უჭერენ. გარდა ამისა, ნოიბერგერს დიდი უთანხმოება აქვს სპორტული ინვენტარის მწარმოებელ ცნობილ დასავლეთგერმანული ფირმის „ადიდასის“ ხელმძღვანელ ბასთან, „ადიდასი“ კი მეტად გავლენიანი ძალა საფეხბურთო სამუაოში.

ღარჩა კიდევ ერთი ევროპელი კანდიდატი — პარი კევანი, ფიფას უფროსი ვიცე-პრეზიდენტი და მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე. მაგრამ ეს პოსტის ნაკლებად პერსპექტიული თანამდებობა იმისათვის, რომ კევანი ფიფას პრეზიდენტი გახდეს.

არის ერთი — ნაკლებად ცნობილი საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციის ახლანდარჩულ პრეზიდენტის, პარაგვაელ ნიკოლას ლეოსის ასაკი კი (იგი 58 წლისაა) გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს სხვა კანდიდატებთან შედარებით. ლეოსი განათლებით იურისტი, მისდევდა კომერციას, სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევამდე იყო პარაგვაის წამყვანი საფეხბურთო კლუბის „ლიბერტადის“ და პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, აგრეთვე სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. ასე რომ, სამხრეთ ამერიკის კანდიდატი ფიფას მომავალ არჩევნებზე ალბათ ლეოსი იქნება.

ინგლისურ პრესაში გამოქვეყნებული მახალბის პუბლიკაცია მოაშადა, მირიან ბარდაველიძემ.

პონოლიები პირტუგალიურ ფეხბურთში

ჩვენს მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ, რომ მექსიკის შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ პორტუგალიის ფეხბურთელთა პროფკავშირმა ამ ქვეყნის ფედერაციას კატეგორიულად მოთხოვა გაეუქმებებინა პროფესიონალ ფეხბურთელთა პირობები და ეროვნულ ნაკრებში მათი მიწვევის სა-

კითხვი განხილვა. ფედერაციამ უარი თქვა ყველა ამ მოთხოვნაზე და, გარდა ამისა, ნაკრებში მონაწილეობის უფლება აუკრძალა ბევრ ცნობილ მოთამაშეს. პორტუგალიურ ფეხბურთში ახლა ნამდვილი კონფლიქტია. ამ ქვეყნის წამყვანი კლუბების 140 ფე-

ხბურთელმა უარი განაცხადა ითამაშოს ეროვნულ ნაკრებში, სანამ ფეხბურთის ფედერაცია არ განიხილავს მათს მოთხოვნებს. გაფიცულთა შორის არიან საქვეყნოდ ცნობილი მოთამაშეები, მეკარე ბენტუ, თავდამსხმელები გომეში, ფუტრე, მანუელი და სხვანი. კონფლიქტს სათანადოდ გამოემართა პორტუგალიის პრესაც.

ჩვენს მისამართი:
წერილებისთვის — 250098
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დამკვეთებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
ხმალეო — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-53,
წერილების განყოფილება — 98-97-55,
„მერიანი“ — 98-97-26, „მართვა“ — 98-97-27.

ჩვენს
054230:
66425

საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის რედაქციის ხელახლა. 280098, თბილისი, ლენინის ქ. 14. აბეჭდება ოქტომბერი წიხით საჯაროთა კორპუსში: ხოზარულახ, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უ 0695